შპს არქჰაბი

ს/კ ID 415595831
ტელ.: +(995) 555 122 854
ელ.ფოსტა: Info.archhub@gmail.com

ექსპერტიზის ბიურო

ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 7 (ს.კ.01.14.05.007.273) მრავალბინიანი შენობის კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო დასკვნა.

თბილისი

©2024

შპს „არქჰაბი“ ექსპერტიზის ბიურო

ს/კ ID 415595831
ტელ.: +(995) 555 122 854
ელ.ფოსტა:Info.archhub@gmail.com

ექსპერტიზის ანალიზი

23 ივლისი 2024 წელი

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებით პასუხისმგებელია ექსპერტიზის მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებაზე და ექსპერტიზის ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალობაზე.

განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლის სამართლებლივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ობიექტი:
ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 7 (ს.კ.01.14.05.007.273) მრავაბინიანი შენობის კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო დასკვნა.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი:
ხელშეკრულება N2021-01-17-00 ექსპერტიზის ჩატარებაზე;

დამკვეთი:
შპს გრინ ლენდ ს/კ (400186151)

ექსპერტიზის შემსრულებელი:
არქიტექტორი, ექსპერტი მამუკა ბარათაშვილი, სპეციალობით მუშაობის სტაჟი - 12 წელი;

ექსპერტიზის ჩატარებაზე განაცხადის შინაარსი:
ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 7 (ს.კ.01.14.05.007.273) მრავაბინიანი შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41) ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში, დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის საფუძველზე;

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი პროექტის შემსრულებელი:
არქიტექტორი: სერგო გიორგაია

ექსპერტიზის დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტები, რომელთა სისწორესა და ავთენტურობაზე პასუხისმგებელია დოკუმენტაციის წარმომდგენი:

1 ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 7 (ს.კ.01.14.05.007.273) მრავაბინიანი შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილი

ექსპერტიზის თარიღი ან პერიოდი: 31.01.2021 - 05.04.2021

დ ა ს კ ვ ნ ა

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოწოდებული მასალების საფუძველზე, ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული, N 7 (ს.კ.01.14.05.007.273) მრავაბინიანი შენობის **კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილის ექსპერტიზის შედეგად ცალსახად ავღნიშნავ, მიუხედავად იმისა რომ კორექტირების შედეგად შეიცვალა შენობის შიდა გეგმარება, ფართობი, დაკავებულობები, წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურული ნაწილი** შესრულებულია საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა- ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში. წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

გამოკვლევა

წარმოდგენილი განაცხადის თანახმად, დამკვეთის მიერ მოთხოვნილია ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 7 (ს.კ.01.14.05.007.273) მრავაბინიანი შენობის კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა ტექნიკური რეგლამენტის „შენობა- ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41) მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში, რომელიც მოიცავს შემდეგი პარამეტრების შეფასებას:

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვებს;

ბ) კონსტრუქციის ტიპებს;

გ) სიმაღლეს და ფართობებს;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელებს;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს;

ვ) მისაწვდომობას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნებს;

თ) სახურავის ანაწყობებს;

ი) ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ გამიჯნავებს;

კ) ხანძრისგან დაცვის სისტემებს;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობებს;

წარმოდგენილი პროექტი შესრულებული არის საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა- ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად და აკმაყოფილებს:

ა) დაკავებულობების და დაკავებულობის დატვირთვებს;

შენობისა და ნაგებობის კლასიფიცირებას გამოყენებისა და დაკავებულობის მიხედვით არეგულირებს მე-3 თავი.

წარმოდგენილი პროექტი არის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც თავმოყრილია 3 დაკავებულობის ჯგუფი:

1. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (საწყობი);
2. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები).
3. საოფისე ჯგუფი სქ (ოფისები)

დაკავებულობის ფაქტორის განსაზღვრა ხდება 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილში მოცემული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორის მიხედვით.

მიწის ქვედა -1, 1 და 2 სართულზე მოწყობილია ავტოსადგომი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც მცირე საფრხთის შემცველი სწ-2 და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 18,6 მთლიანი რომლის დაკავებულობაც შეადგენს ჯამში 144 ადამიანს

მესამე სართულზე განთავსებულია ოფისები რომელიც კლასიფიცირებულია როგორც საოფისე ჯგუფი სქ და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 9,3 მთლიანი, III სართულის დაკავებულობა შეადგენს 121 ადამიანს.

მეოთხე და მეხუთე სართულზე განთავსებულია ოფისები რომელიც კლასიფიცირებულია როგორც საოფისე ჯგუფი სქ და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 9,3 მთლიანი, სართულის დაკავებულობა შეადგენს 100 ადამიანს.

მეექვსე, მეშვიდე და მერვე სართულზე განთავსებულია საცხოვრებელი ბინები, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 18.6 მთლიანი, ჯამში დაკავებულობა შეადგენს 41 ადამიანს.

მეცხრე სართულზე განთავსებულია საცხოვრებელი ბინები, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 18.6 მთლიანი, ჯამში დაკავებულობა შეადგენს 36 ადამიანს.

მეათე სართულზე განთავსებულია განთავსებულია საცხოვრებელი ბინები, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 18.6 მთლიანი, ჯამში დაკავებულობა შეადგენს 30 ადამიანს.

მეთერთმეტე სართულიდან მეთხუთმეტე სართულის ჩათვლით განთავსებულია საცხოვრებელი ბინები, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 18.6 მთლიანი, ჯამში დაკავებულობა შეადგენს 30 ადამიანს.

მეთექვსმეტე სართულიდან ოცდამესამე სართულის ჩათვლით განთავსებულია საცხოვრებელი ბინები, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 18.6 მთლიანი, ჯამში დაკავებულობა შეადგენს 15 ადამიანს.

ბ) კონსტრუქციის ტიპებს;

შენობების კლასიფიცირებას კონსტრუქციის ტიპების მიხედვით და შენობის სხვადასხვა ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხს არეგულირებს მე-6 თავი. შენობა ნაგებობის კონსტრუქცია შერჩეულია ცხრილი 601-ის მიხედვით. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის სთ) და წარმოადგენს I–A ტიპის კონსტრუქციას, შესაბამისად სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლისა და ფართობის) მოთხოვნებს

გ) სიმაღლეების და ფართობების სიდიდეებს;

მიშენება-დაშენებების სიმაღლესა და ფართობს არეგულირებს მე-5 თავი.

შენობა-ნაგებობის სიმაღლე და ფართობი განისაზღვრება 503 ცხრილის მიხედვით მე-6 თავის შესაბამისად განსაზღვრული კონსტრუქციის ტიპისა და მე-3 თავის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობებით.

I-A კლასის კონსტრუქციული ტიპის შენობებისათვის, 503 ცხრილის მიხედვით შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე არის შეუზღუდავი, პროექტით შემოთავაზებული სიმაღლე კი 72.5 მეტრია, რაც ნორმებთან შესაბამისობაშია.

503 ცხრილის მიხედვით:

- პროექტში გათვალისწინებული სართულების მაქსიმალური რაოდენობა წარმოდგენილი დაკავებულობის ჯგუფებიდან გამომდინარე I-A კლასის კონსტრუქციული ტიპის შემთხვევაში აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს .

- პროექტში გათვალისწინებული მაქსიმალური დასაშვები ფართობი თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფებიდან გამომდინარე I-A კლასის კონსტრუქციული ტიპის შემთხვევაში აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს.

დ) გასასვლელებს, გასასვლელთან მისადგომებს, გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელი საშუალებების მოთხოვნებს არეგურილებს მე-10 თავი.

ცხრილი 1015.1 1021.1 და 1021.2 მიხედვით მიწის ქვედა სართულს ესაჭიროება 2 გასასვლელი, მიწისპირა სართულზე არსებულ სივრცეებს ესაჭიროება 2 გასასვლელი, მიწისზედა სართულებს ესაჭიროება ნორმების მიხედვით 2 გასასვლელი, რაც პროექტში გათვალიწინებულია და აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს.

მიწის დონის ქვედა სართულს ესაჭიროება 2 გასასვლელი, პროექტშიც გათვალიწინებულია 2 შიდა გასასვლელის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს.

პირველ სართულზე შენობის გზა კიბეები პირაპირ შენობის გარეთ გამოდის
ყველა საცხოვრებელ სართულს ემსახურება ორი კიბის უჯრედი, რომელიც ერთმანეთისგან დაშორებულია 9 მეტრზე მეტი მანძილით, ორივე გზა კიბე გრძელდება სახურავამდე და აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს. კიბის უჯრედები აღჭურვილია დაწნევის სისტემით და შენობა უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით.

გზა-კიბეებს, ყველა საცხოვრებელ სართულზე ერთმანეთთან აკავშირებს გასასვლელთან მისადგომი დერეფნები, რომლებიც მოწყობილია 1018 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. დერეფნებში მოწყობილია საჰაერო შახტები, რომლებიც შესაბამის მოწყობილობებთან ერთად უზრუნველყოფენ მექანიკურ განიავებას.

შენობიდან გამოსვლა ხდება გზა-კიბეებიდან პირდაპირ მიწის დონეზე, რის შემდგომაც საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად. (მიწის ნაკვეთის მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული გზების დახრა ნაკლებია 6%-ზე და შეესაბამება მოთხოვნებს).

ყველა დამოუკიდებელი ფართის მიმართ გასასვლელების რაოდენობა შერჩეულია ქვეთავი 1015-ის მოთხოვნების შესაბამისად. 1016 ქვეთავის მიხედვით გასასვლელთან მისადგომის საზღვრებში მოქცეული სავალი მანძილი უნდა გაიზომოს სართულის საზღვრებში მდებარე ყველაზე მოშორებული წერტილიდან. პროექტში მითითებული გასასვლელთან მისადგომის სავალი მანძილები შეესაბამება 1016 ქვეთავის მოთხოვნებს.

შენიშვნა №1: გზა-კიბეების შემომზღუდავში ჩაყენებული კარები 907.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კვამლაღმომჩენის ან კარის ღიად დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტისთანავე ავტომატურად უნდა იხურებოდეს. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.

შენიშვნა №2: დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გზა-კენე და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობას;

გასასვლელი საშუალების ზომას არეგულირებს 1005 ქვეთავი.

შიდა გასასვლელის გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე, არის 1.10 მ (კედელს და მოაჯირს შორის), რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს სახელურები 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82 სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს და აკმაყოფილებს 1008 ქვეთავის მოთხოვნებს.

ARCH • HUB

დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნების მინიმალური სიგანე არის 1.20 მ და 1005.3.2 ქვეთავისა და 1018.2 ცხრილის მოთხოვნებს შეესაბამება.

ვ) მისაწვდომობის მოთხოვნას;

მისაწვდომობის მოთხოვნებს არეგულირებს ტექნიკური რეგლემენტი - საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41 დადგენილება შენობის ყველა სართული აკმაყოფილებს მისაწვდომობის მოთხოვნებს. ავტოსადგომებზე დაცულია 1106.1 ცხრილის მიხედვით მოთხოვნილი მისაწვდომი სადგომების რაოდენობა და შეადგენს 4 ერთეულს

შენობაში არის ორი სამაშველო ლიფტი, რომლებიც ზომების მიხედვით არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს 1109.7 ქვეთავის მოთხოვნებს.

სართულებზე შშმ პირთა გადაადგილება ხდება ლიფტის საშუალებით და ყველა დაკავებულ ერთეულში შესაძლებელია ეტლით მოხვედრა მისაწვდომი სვლაგეზი სწორად არის განსაზღვრული და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს.

შენიშვნა N3: მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. სათადარიგო ელექტრომომარაგება 1703-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნებს;

შენობა-ნაგებობას, როდესაც ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე (გზა) ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აითვლება გზის ღერძიდან. დანარჩენ მხარეებზე კი ნაკვეთის საზღვრიდან.

705.8 ცხრილის მიხედვით გარე კედლების ღიობების გათვალიწინებული რაოდენობა არ აღემატება დასაშვებ ნორმებს, შესაბამისად წარმოდგენილ პროექტში კედლის ღიობების ფართობები ნორმების ფარგლებშია.

წარმოდგენილ პროექტში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე 602 ცხრილის მიხედვით გარე კედელზე ესაჭიროება 1 საათიანი ხანძარმედეგობა, თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი X≤3 მეტრზე. პროექტში გათვალიწინებული გარე კედლების ხანძარმედეგობის ხარისხები აღემატება ნორმების მოთხოვნებს და არის 2 საათიანი, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნებს. იქ სადაც ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 9 მეტრს გარე კედლები არ საჭიროებს ხანძარმედგობას.

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს მე-6, მე-7 და მე-14. თავის მოთხოვნებს

თ) სახურავის ანაწყობებს;

სახურავის ანაწყობებსა და სახურავზედა ნაგებობებს მე-15 თავი არეგულირებს.

საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კოსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.

601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (I-A ტიპი) გამომდინარე სახურავის კოსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს უნდა გააჩნდეს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, თუმცა პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებულია ხანძარმედეგობის უფრო მეტი (2 საათიანი) ხარისხი.

სახურავზე მოწყობილია პარაპეტი, რომელიც აკმაყოფილებს 705.11.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

წარმოდგენილ პროექტში სახურავის ანაწყობები შეესაბამება 1505 თავის მოთხოვნებს. I-A კლასის კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე სახურავის კონსტრუქცია აკმაყოფილებს I-A კლასის სახურავების ანაწყობების მოთხოვნებს.

შენიშვნა N4: სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით უნდა განეკუთვნოს B კლასს, თანახმად ცხრილი 1505.1ა (B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას). პარაპეტებს ცეცხლმედეგობის ისეთივე ხარისხი უნდა ჰქონდეს, როგორიც აუცილებელია საყრდენი კედლისათვის. პარაპეტის კედლები სათანადოდ უნდა დაიფაროს არაწვადი, წყალგაუმტარი მასალებით, რომელთა სისქე პარაპეტის კედლების სისქეზე ნაკლები არ უნდა იყოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის

გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა. შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს მე-15 თავის მოთხოვნებს.

ი) ცეცხლმედეგობის გამმიჯნავების მოთხოვნებს;

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების მოთხოვნებს არეგულირებს მე-7 თავი.

კონსტრუქციის ტიპიდან (I-A) გამომდინარე შენობის ყველა იატაკის კონსტრუქციას უნდა გააჩნდეს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი (რაც პროექტით გათვალისწინებულია) და შესაბამისად დაკავებულობების აუცილებელი თარაზული გამიჯვნის მოთხოვნები, რაც 508.4 ცხრილში საათების მიხედვითაა დადგენილი, დაცულია.

რაც შეეხება შვეულ გამმიჯნავებს, განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე: რეზერვუარების ოთახი ყველა სხვა ფართობისგან უნდა გაიმიჯნოს 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რაც პროექტში გათვალისწინებულია. ტუმბოების ოთახის კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 30 წთ, რაც შეესაბამება 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.

დერეფნები საცხოვრებელი ერთეულებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ტიხრებით, რაც აკმაყოფილებს 1018.1 ცხრილის მოთხოვნებს, ხოლო კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 30 წუთი და შეესაბამება 716.5.3 ქვეთავის მოთხოვნებს. რაც შეეხება სც-2 ჯგუფის დაკავებულობის საცხოვრებელ და საძინებელ ერთეულებში არსებულ დერეფნებს, მათ 1018.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის მიხედვით ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება.

±0.00 ნიშნულზე მოწყობილი გზა დერეფნების შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათი, ხოლო იქ მოწყობილი ღიობების 30 წთ, რაც აკმაყოფილებს 1023.3 ქვეთავის და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

კიბის უჯრედები დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ზღუდეებით, აღნიშნულ კედლებში მოწყობილია 30 წთ-იანი ცეცხლმედეგობის თვითიკეტებადი კარები, რაც აკმაყოფილებს 1009.3.1.2 ქვეთავის, 1009.3.1.4 ქვეთავის და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.

შენიშვნა N5: ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით კვამლისა და წევის მაკონტროლებელი კარის ანაწყობი UL 1784-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს ძირში ხელოვნული საგმანავის განთავსების გარეშე.

შენობებში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც შეესაბამება 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს.

შენიშვნა N6: საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3. ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით.

ცეცხლმედეგობის გამიჯვნები ყველა ნაწილში აკმაყოფილებს ცხრილი 508.4 -ის მოთხოვნებს

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების მოთხოვნებს;

ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისადმი მოთხოვნებს არეგულირებს მე-9 თავი.

ვინაიდან საპროექტო, შენობა განეკუთვნება მაღლივს, შენობის დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვები აღემატება მოთხოვნილს. ქვეთავი 903.2.10 სწ-2 ჯგუფის, პუნქტი 2-ის მიხედვით შენობა უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით.

მთელ შენობაში გათვალისწინებულია I კლასის სახანძრო მილდგარების სისტემა.

შენიშვნა N7: ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 903.3.1 - 903.3.6 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

შენობებში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

907.2.9.1 ქვეთავის მიხედვით საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული სართულის გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატება;

907.2.11.2 ქვეთავის მიხედვით საჭირო კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები, რომლებიც განთავსებულია თითოეული საძინებელი ფართობის ჭერზე;

907.3.1.1.1 ქვეთავის თანახმად, კიბის უჯრედში, სახანძრო ტუმბოების ოთახში და ლიფტის სამანქანოში გათვალისწინებულია კვამლის ავტომატური აღმომჩენები.

შენიშვნა N8: სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს 907.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

შენობის მიწის დონის ქვედა სართულზე განთავსებულია სახანძრო ტუმბოების ოთახი;

შენიშვნა N9: სახანძრო ტუმბოებთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნეს 913 ქვეთავის მოთხოვნები. მათი განთავსება უნდა მოხდეს NFPA 72-ის შესაბამისად.

საპროექტო შენობის ყველა სართულზე 906 ქვეთავის შესაბამისად, გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება;

შენიშვნა N10: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906 ქვეთავისა და NFPA 10 - ის შესა ბა მისად.

შიდა გასასვლელის გზა-კიბეების შუალედურ ბაქნებზე (ყველა კიბის უჯრედში) გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა. მილდგარების სახელოს მისაერთებლები ისეა განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი ექცევა 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9.0 მ-ის საზღვრებში.

შენიშვნა N11: სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დაყენდეს 905 ქვეთავისა და NFPA 14-ის შესაბამისად.

შენობებში გათვალისწინებულია კვამლის კონტროლის სისტემა: კიბის უჯრედებში, ლიფტების ფოიეებში, დერეფნებში და მიწისქვეშა სართულებზე მექანიკური განიავების სახით.

კიბის უჯრედი და ლიფტის შახტა აღჭურვილია დაწნევის სიტემებით.

შენიშვნა N12: სისტემები უნდა მოეწყოს 909 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. მისაღეღობაზე შემოწმება 909.18 ქვეთავის შესაბამისად განისაზღვროს. სისტემების აღიარება 909.19 ქვეთავის შესაბამისად განხორციელდეს. საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3. ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ერთი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით.

შენიშვნა N13: სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA -ის სტანდარტების შესაბამისად (რომლებიც ეხება სისტემების დაგეგმარებას) და უნდა აკმაყოფილებდეს 912.2-912.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების ანგარიშებს;

წყალსადენი საშუალებებისადმი მინიმალურ მოთხოვნებს არეგულირებს მე-16 თავი.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები, დათვლილია და აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს.

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში. წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

დასკვნას თან ერთვის არქიტექტორ მამუკა ბარათაშვილის დიპლომის ასლი, მის მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტების ჩამონათვალი და ობიექტები რომლებზეც ჩატარებული აქვს არქიტექტურული ექსპერტიზა.

კვლევაში გამოყენებული მასალები და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

1. ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28);
2. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №57 (2009.03.24), №63 (2017.02.06) და №104 (2017.02.23);

არქიტექტორი, ექსპერტი

მამუკა ბარათაშვილი

მამუკა ბარათაშვილი



მობილური: 555122854

ელ-ფოსტა mamukabaratashvilige@gmail.com

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

დაბადების თარიღი: 21.03.1991

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 10.2013 - 07.2015
არქიტექტორი, არიტექტურის
მაგისტრანტი, მიმაგრებული ფაილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 09.2008 - 07.2013
არქიტექტურა/დიზაინი, არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
ბაკალავრი, მიმაგრებული ფაილი

სამუშაო გამოცდილება

არქიტექტორი, არქჰაბი, 02.2021 - - დღემდე (9 თვე - 0 წელი და 9 თვე)

მოვალეობები:

არქიტექტორი, სტუდიო 9, 05.2020 - 09.2020 (4 თვე - 0 წელი და 4 თვე)

მოვალეობები:

არქიტექტორი, მეიდან ჯგუფი, 05.2019 - 05.2020 (12 თვე - 1 წელი და 0 თვე)

მოვალეობები:

არქიტექტორი, არქი, 05.2018 - 05.2019 (12 თვე - 1 წელი და 0 თვე)

მოვალეობები: პროექტირება, მუშა დოკუმენტაციის მომზადება, საავტორო ზედამხედველობა,

მოწვეული მასწავლებელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 09.2015 - - დღემდე (74 თვე - 6 წელი და 2 თვე)

მოვალეობები: პრაქტიკული ლექციების ჩატარება; პროექტირების საგანში კონსულტაციის გაწევა სტუდენტებზე;

არქიტექტორი, შ. პ. ს. არქინდუსტრია, 09.2013 - 04.2018, 1500 ლ, (55 თვე - 4 წელი და 7 თვე)

მოვალეობები: პროექტირება; ობიექტების ზედამხვედველობა; პროექტების მენეჯმენტი;

სტაჯიორი, ქალაქ თბილისის მერია, 11.2011 - 12.2011 (1 თვე - 0 წელი და 1 თვე)

მოვალეობები: სტაჯიორი

არქიტექტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 01.2011 - 08.2013 (31 თვე - 2 წელი და 7 თვე)

მოვალეობები: პროექტირება
წამოსვლის მიზეზი: ხელშეკრულების ვადის დამთავრება

სრული სტაჟი 129 თვე (10 წელი და 9 თვე)

ენები

ინგლისური (მეტყველება: A1, წერა: A1)

კომპიუტერული პროგრამები

ArchiCAD (ძალიან კარგი), **AutoCAD** (კარგი), **Corel** (ძალიან კარგი), **3D MAX** (დამაკმაყოფილებელი), **Photoshop** (კარგი), **Revit** (დამაკმაყოფილებელი),

ტრენინგები, სხვა მიღწევები

შენობა–ნაგებობების ინსტიტუტი – საქართველო, 07.2017-08.2017
შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები, სერტიფიკატი

თბილისის არქიტექტურის სამსახური, 05.2013-06.2013
თბილისი 2030 წლისთვის, სერტიფიკატი

ნაშრომები, პუბლიკაციები

მეთოდური სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, 11.2017ფერმერის საცხოვრებლი სახლი,

სტუდენტთა მე-80 სამეცნიერო კონფერენცია, 03.2012არქიტექტურის რევილიტარიზაცია , , ატვირთული ფაილი

პროექტები

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში დიდ დიღომში, 05.2020-07.2020, ექსპერტი
ს/კ 01.10.06.006.291 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 41 დადგენილების მიხედვით ექსპერტიზა.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში დიდ დიღომში, 08.2019-08.2019, ექსპერტი
ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ველოტრეკის მიმდებარედ (ს.კ.01.10.06.001.221) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41) ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში, ფონიჭალაში, 07.2019-07.2019,
ექსპერტი
ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, #16ა, ბ-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, #16 ა-ბ-ს მიმდებარედ (ს.კ. 01.18.12.003.089) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის
არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა (საქართველოს მთავრობის დადგენილება □41) ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი თბილისში, 04.2019-05.2019,
არქიტექტორი
AR1676270

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი თბილისში, 11.2018-01.2019,
არქიტექტორი
AR1638545

ინდივიდუალური საცხოვრბელი სახლი ბაკურიანში, 09.2018-12.2018,
მთავარი არქიტექტორი
ინდივიდუალური საცხოვრბელი სახლი ბაკურიანში

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი თბილისში, 07.2018-11.2018,
მთავარი არქიტექტორი
AR1604411

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი თბილისში, 07.2018-08.2018,
არქიტექტორი
AR1604412

მრავალფუქციური საცხოვრებელი კომპლექსი ბათუმში , 06.2018-02.2019,
მთავარი არქიტექტორი, არქიტექტორი.
კომპლექსი შედგება 18 სართულიანი საცხოვრებელი სახლისგან რომელიც მდებარეობს ქალაქ ბათუმში, ზღვისპირის ქ. #22-ში. პროექტში გათვალისწინებულია დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე. პროექტის ფართობი შეადგენს 25000 კვ.

ინდივიდუალური საცხოვრბელი სალხი ყაზბეგში, 04.2018-05.2018,
მთავარი არქიტექტორი
ინდივიდუალური საცხოვრბელი სახლი სტეფანწმინდაში.

ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, ჟღენტის ქ. N2-ის მიმდებარედ (ს.კ.01.14.02.016.019) , 04.2018-05.2018,
ექსპერტი
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ექსპერტიზა

ინდივიდუალური საცხოვრბელი სახლი თბილისში, 03.2018-04.2018,
მთავარი არქიტექტორი
ინდივიდუალური საცხოვრბელი სახლი თბილისში

ქ. ბათუმი, სულაბერიძის ქ. #10.12.14-ში მრავალსართულიანი მრავაფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული ნაწილის საესპერტო დასკვნა, 03.2018-05.2018,
ექსპერტი
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ექსპერტიზა

ქ. რუსთავში დავით აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ02.02.04.380) კომერციული ობიექტის არქიტექტურული პროექტის ექსპერტიზა., 01.2018-01.2018,
ექსპერტი
საექპერტო დასკვნის მომზადება.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი სოფელ დიღომში., 01.2018-04.2018,

მთავარი არქიტექტორი
მშენებლობის პროცესში

ინდივიდუალური საცხოვრბელი სახლი ბაკურიანში, 01.2018-04.2018,
მტავარი არქიტექტორი
ინდივიდუალური საცხოვრბელი სახლი ბაკურიანში

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ბაკურიანში, 08.2017-02.2018,
მთავარი არქიტექტორი
პროექტი დამუშავდა საქართველოს მთავრობის, დადგენილება №41 სრულ შესაბამისობაში, რაც გულისხმობს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებს.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი სოფელ მუხათწყაროში, 07.2017-08.2017,
არქიტექტორი
მიმდინარეობს მშენებლობა.

სააგარაკე სახლი სოფელ თელეთში, 07.2017-08.2017,
არქიტექტორი
აგარაკი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი დიდ დიღომში, 04.2017-05.2017,
არქიტექტორი
პროექტის ავტორი.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი დიღომში, 03.2017-04.2017,
არქიტექტორი
პროექტის ავტორი.

მრავაბინიანი საცხოვრებელი სახლი , 02.2017-01.2018,
ექსპერტი
მრავაბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტეტურული პროექტის ექსპერტიზა

საკვლევი ბაზა მარსზე (ნასას საერთაშორისო კონკურსის ორგანიზატორი საქართველოში), 11.2016-11.2016,
კოორდინატორი
საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსი მარსზე საკვლევი ბაზისათვის.

საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსი: საოფისე შენობის ესკიზი სანდროეულის ქუჩაზე, 08.2016-10.2016,
არქიტექტორი
II ადილი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 06.2016-08.2016,
მთავარი არქიტექტორი
დამკვეთი: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

საოფისე შენობა სანდროეულის ქუჩაზე, 05.2016-11.2016,
არქიტექტორი
დამკვეთი: შპს აქტივებისა მართვისა და განვითარების კომპანია

ქ. თბილისში, შ. ყავლაშვილის ქ. N5 და N7-ში მდებარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტი, 04.2016-07.2016,
მთავარი არქიტექტორი, პროექტის ავტორი.
დამკვეთი: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

ქ. თბილისი, დ. ბააზოვის (ყოფილი იერუსალიმის) ქუჩა #12, N12 ა-ში მდებარე შენობების რეკონსტრუქცია, 08.2015-09.2015,
მთავარი არქიტექტორი
დამკვეთი: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

ქ. წყალტუბოში სასტუმროს ესკიზურ პროექტის კონკურსი, 03.2014-06.2014,

ავტორი, არქიტექტორი
დამკვეთი: საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

სოციალური სახოვრისი (კონკურსი), 07.2013-09.2013,
ავტორი
პროექტი დაკვეთილი იყო თბილისის მერიის მიერ და აფინანსებდა შვეიცარიის მთავრობა. კონკურსში მონაწილეობას იღებდა შვეიცარიელი და ქართველი არქიტექტორები,სადაც ჩემს მიერ წარდგენილმა პროექტმა დაიკავა II ადგილი, ჟიური დაკომპლექტებული იყო ქართველი და შვეიცარიელი არქიტექტორების, სოციოლოგების, და ქალაქგეგმარებლებისაგან.

სკოლა სადუნის რეკონსტრუქცია, 01.2013-04.2013,
არქიტექტორი
რეკონსტრუქციის შედეგად მოხდა სკოლა სადუნის შიდა ეზოს გადახურვა და დახურული კაფის მოწყობა. გადახურვის კონსტრუქცია დაფუძნებულია ქართული დარბაზული საცხოვრებელი სახლის გადახურვის კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის პროექტი, 07.2012-08.2013,
თანაავტორი
პროქტი დაკვეთილია საქართველოს ტექნიკური უნვერსიტეტის მიერ. სადაც მონაწილეობას ვიღებდი როგორც უშუალოდ პროექტირებაში ასევე მის 3D ვიზუალის შექმნაში.

რეკომენდატორები

გია ნადირაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი,
gianadiradze@yahoo.com,599551155

დამატებითი დოკუმენტები

კონკურსი სანდროეულის ქუჩაზე

საერთაშორისო კონკურსი Archiprix Ahmedabad 2017 Certificate of Participation

კონკურსი სოციალური საცხოვრისი ქ. თბილისში

ქ. წყალტუბოში სასტუმროს კონკურსი

საქართველო

Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

მაგისტრის დიპლომი

Master's Diploma

MD № 000477

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 2015 წლის 16 ივლისის № 1 გადაწყვეტილებით მამუკა ბარათაშვილს მიენიჭა არქიტექტურის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

By the decision № 1 **July 16, 2015** *of the Faculty of*

Architecture, Urban Planning and Design

Mr. Mamuka Baratashvili *was awarded the Degree of Master of* ***Architecture***

სარეგისტრაციო *Registration*	№ 00475			დეკანი *Dean* — მ/მ *Act.Dean* გია ნაცვლიშვილი *Gia Natsvlishvili*
თბილისი *Tbilisi*	29 რიცხვი/*Day*	06 თვე/*Month*	2016 წელი/*Year*	რექტორი *Rector* — არჩილ ფრანგიშვილი *Archil Prangishvili*

ბ.ა. *Seal*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY LEPL 211349192

სერტიფიკატი

№ 2017-193

გადაეცემა

მამუკა ბარათაშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

ღია საზოგადოების ფონდი

March 29-30, 2021

Accessible and Usable Buildings and Facilities - National Standards

Certificate awarded to

Mamuka Baratashvili

Keti Khutsishvili
Executive Director

www.osgf.ge

4, Chovelidze street, Tbilisi 0108, Georgia, Tel: (+995 32) 225 04 63; E-mail contact@osgf.ge


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
მამუკა
MAMUKA
გვარი / LAST NAME
გარათაშვილი
BARATASHVILI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL N
GEO
მმ / M
54001054374
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
21.03.1991
07.08.2029
ბარათის No / CARD No
19IA08268
ხელმოწერა
SIGNATURE
დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ჭიათურა
TCHIATURA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
07.08.2019
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2018
სუს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE019IA08268054001054374<<<<
9103214M2908074GE0<<<<<<<<<<<1
BARATASHVILI<<MAMUKA<<<<<<<<<<